ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №49

01.10.2020 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. დავით რურუა - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032026885-03; 24.09.2020);**

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03; 28.09.2020);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“

და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03; 28.09.2020);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03; 28.09.2020).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

მომხსენებლები:

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032026885-03; 24.09.2020):

ვ. აბულაძე - წარმოდგენილი ცვლილებების შემუშავება განპირობებულია სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი

საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. პროექტის თანახმად, ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიის), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო გზით, აგრეთვე სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის გამარტივების მიზნით, იქმნება ერთიანი საინფორმაციო ბაზა ერთიანი ელექტრონული გაბილეთიანების სქემისა და განრიგის ერთობლიობით და ინერგება სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, რომელსაც მართავს ნებართვის გამცემი.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს.

თ. ისაკაძე - არის თუ არა ეს იმის წინაპირობა, რომ მეტროში, ავტობუსსა და მიკროავტობუსში ამოქმედდება ერთიანი გადახდის სისტემა და გავრცელდება თუ არა მოქმედი საშეღავათო პირობები მიკროავტობუსებზე.

ვ. აბულაძე - დიახ, ეს მიდგომა სწორედ ერთიანი გადახდის სისტემაზე გადასასვლად გვესაჭიროება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032026885-03; 24.09.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032027280-03; 28.09.2020):**

ვ.აბულაძე - დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია შემდეგი გარემოებების გამო: ზემოაღნიშნული წესი ადგენს გარკვეულ შეღავათებს და აწესებს ვალდებულებებს ფიზიკური პირებისათვის და ნორმატიული აქტით დადგენილი შეღავათის თანაბარუფლებიანი ხელმისაწვდომობის მიზნით იცვლება პირის განმარტება, რომლის მიხედვითაც პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამასთან, ცვლილების პროექტით ზუსტდება, რომ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული შესაბამისი ელექტრონული მოწმობა, მას ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის უფლება უნდა მიენიჭოს მატერიალური ფორმით წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებიდან მე-60-ე დღეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03;28.09.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032027280-03; 28.09.2020):

ვ.აბულაძე - მოგახსენებთ, რომ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაციის გამო, 2020 წლის 1 თებერვლიდან სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების

სააგენტოს უფლებამონაცვლედ მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება უნდა მიეცეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032027280-03;28.09.2020)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032027280-03; 28.09.2020):

ვ.აბულაძე - როგორ უკვე მოგახსენეთ, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაციის გამო, 2020 წლის 1 თებერვლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის შესაბამის სამსახურებს შეღავათიანი მგზავრობის უფლებით უზრუნველყოფის მიზნით, ინფორმაციას სააგენტოში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებზე მიაწვდის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთმა წევრმა. მომხრე - 5; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032027280-03; 28.09.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე